პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 44 (7605)

1 მარტი, ხუთშაბათი. 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

● „მართვე" ფრთებს შლის (1-ლი და მე-4 გვ.)

● ფანტასტიკური შეჯიბრი წყალბურთელთა შეჯიბრებაში (მე-2 გვ.)

● ისევ მძლეოსნობის შესახებ (1-ლი და მე-2 გვ.)

● სპორტი პოლიტიკის იარაღი... (მე-4 გვ.)

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ გარკვეულმა დრომ განვლო, მაგრამ მისმა გადაწყვეტილებებმა უკვე სასიკეთო კვალი დაატყო ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ზოგიერთ უბანს. ერთბაშად ყოველივეს გარდაქმნა-შეცვლა წარმოუდგენელია. აქტივის კრების მიერ დასახული პროგრამის აღსრულება გულმოდგინე, გააზრებულ, შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს ყველასაგან, ვისაც კი ეს ევალება. მთავარი კი ის არის, რომ ინერცია ალაგებულია და ახალი ტემპი ჩვენი სპორტის საკეთილდღეო შრომა-გარჯისა არ უნდა შევანელოთ.

რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ...

ყოველი გაზეთის, ყოველი პერიოდული გამოცემის ცხოვრებაში არის ხანტაპო მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მათ სადღეისო და სამომავლო მიმართულებას, სახავენ მათი მუშაობის გაუმჯობესების გზებს. რა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ არ გამრუდდეს ხვალინდელი და ზეგინდელი დღის სავალი გზა? აი, კითხვები, რომლებიც ჟამიდან ჟამამდე დგება ნებისმიერი გაზეთის კოლექტივის წინაშე.

ჩვენთვის, „ლელოს" მუშაკებისათვის, ასეთი ხანტაპო მოვლენა უთუოდ იყო რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მთლიანად ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემებს მიეძღვნა. საგულისხმოა, რომ ეს თავყრილობა სწორედ წლის დამდეგს გაიმართა და მაშინვე სახელმძღვანელო პროგრამად იქცა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის უკლებლივ ყველა წარმომადგენლისთვის წლევანდელი წლისთვისაც და გაცილებით უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვისაც.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აქტივის კრების მიერ თვით გაზეთისათვის დასახული პრობლემატიკა, წრე საკითხებისა, რომელთა გაშუქება-რეალიზაცია და ფართო პროპაგანდა დაზანებას ვერ ითმენს. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა უფართოესი მასების ჯანმრთელობის გაკაჟების პროგრამა, მშდ კომპლექსი, ბავშვთა და სტუდენტთა სპორტი, ჩვენი სპორტული მოძრაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, ოღონდ ჭეშმარიტი მოყვრისა და გულშემატკივრის თვალითა და გუნება-განწყობით; ესაა ზრუნვა სპორტის ამა თუ იმ სახეობის აღორძინება-დაწინაურებისათვის, სოფლის სპორტისთვის, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სახელოვანი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მოღვაწეობის შემოქმედებითად გააზრება, ბევრი სხვა საკითხი, რომლებზეც დიდადაა დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობაც, ტანის სიმრთელეც, შრომისუნარიანობაც, ხალისიანი განწყობილებაც და, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის სპორტის დღევანდელი და ხვალინდელი დღეც.

პარტიულ-სამეურნეო კრების შემდეგ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დამკვიდრდა ახალი რუბრიკები, რომლებიც მკითხველმა ალბათ უკვე შეამჩნია. ესენია: „ჯანმრთელობა, უწინარეს ყოვლისა", „ფიქრები ხმამაღლა", „ლახტის წრეში", „ბალავერი" და სხვა, რომლებიც ჩვენი აზრით, წარმოაჩენს მწვავე პრობლემატიკასაც და იმ სასიკეთო მონაგარსაც, რომლითაც ქართულ სპორტს დღითიდღეობით მოაქვს თავი. იმაში, რომ რუბრიკები მიზანს არ ასცდენია, გვარწმუნებს ჩვენი მკითხველების გამოხმაურება, მხარდაჭერა, რაც რედაქციის კოლექტივს სასვალოდ უკეთესი მუშაობის ავანსად მიაჩნია.

ხვალინდელი დღე ვახსენეთ და ბარემ ვთქვათ, რომ ის, რაც წლეულს გაკეთდა, გაზეთს მხოლოდ დიდი გზის დასაწყისად მიაჩნია. რამდენი პრობლემაც აქვს ქართულ სპორტს, იმდენივე პრობლემა აქვს მის გაზეთს. როგორი იქნება გაზეთის ხვალინდელი დღე? ერთი ცნობილი ლექსი ამბობს: „ხვალემ იკითხოს ხვალისა"...

ხვალინდელი პროგრამა გაზეთს აქვს: იგი მას დაუსახა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.



ხუთი დღის განმავლობაში კალათბურთის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილი იყო თბილისის კიროვის პარკისაკენ. აქ მიმდინარეობდა ნორჩ კალათბურთელთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი 1969 წელს დაბადებულ ბიჭებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ მოსკოვის, კაუნასის (2), ქუთაისის, თელავისა და თბილისის (3) გუნდები. დასაწყისშივე გაირკვა, რომ პირველობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ თბილისის „მართვე-1", „მართვე-2", „ნორჩი დინამოელი" და კაუნასის პირველი გუნდი. ფინალში ასპარეზობის უფლებაც სწორედ მათ მოიპოვეს.

ბალავერი

დიდი სპორტის კანონებით

გამოგიტყდებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ მოედანზე არიან თხუთმეტი წლის კალათბურთელები და არა გამოცდილი ოსტატები. — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ლევან ფალავანდიშვილმა. — გამოცდილი „მართვეს" და „ნორჩი დინამოელის" გარდა, საუკეთესოდ ითამაშეს ქუთაისელმა და თელაველმა კალათბურთელებმა. სასიამოვნოა, რომ კარგი ტრადიციები პერიფერიებშიც არ იკარგება. შეჯიბრების მონაწილეებმა ძალზე საინტერესო, დახვეწილი კომბინაციებით აღსავსე თამაში გვიჩვენეს. აღსანიშნავია, რომ ნორჩმა კალათბურთელებმა ისურვეს ეთამაშათ დიდი კალათბურთის წესებით — თითოეული ტაიმი 20 წუთი 15-ის ნაცვლად. ყველა შეხვედრა საინტერესო გამოდგა — ეს მატჩები დიდ და სერიოზულ შეჯიბრებასაც კი დაამშვენებდა.

ტურნირის ყველა მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა და სპორტსმენთა სრულ მობილიზებას მოითხოვდა. გულშემატკივართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეხვედრებმა მთავარ კონკურენტებს — „მართვეს" ორივე გუნდსა და „ნორჩ დინამოელს" შორის. მეტად თანაბრად თამაშობდა „მართვე-1", რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. 75:73 — ასე დამთავრდა მატჩი „მართვე-1"-სა და „ნორჩ დინამოელს" შორის. ასევე დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „მართვეს" პირველმა გუნდმა კაუნასის პირველ კოლექტივს, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორები.

„მართვე-2"-ის წევრები ერთი წლით უმცროსები არიან ტურნირის სხვა მონაწილეებზე. ამ გუნდში გამოდიან 1970 წელს დაბადებული ბიჭები. იგი ტურნირის ყველაზე ტექნიკურ გუნდად აღიარეს. ეს ფაქტი განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან სულ მალე მათ თამაში მოუწევთ საბჭოთა კავშირის პირველობაზე, რომელიც 25-30 მარტს ხიმკიში გაიმართება.

„მართვეს" უმცროსი კოლექტივი შეუპოვრად, თავდადებით იბრძოდა მიზნის მისაღწევად, არ იბნეოდა რთულ სიტუაციებში და

(დასასრული მე-4 გვ.).

სურათზე: მოედანზეა ორი „მართვე" — პირველი და მეორე.

ორიენტირი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

თითქოს ოთხი წლით გავახალგაზრდავა

სპორტულ შეჯიბრებათა რესპუბლიკურ კალენდარში ადგილი, რა თქმა უნდა, მძლეოსანთა ასპარეზობებსაც ეთმობა, მაგრამ ისეთი არა, როგორსაც საჭიროება მოითხოვს. ამიტომ იყო, რომ გასულ შაბათ-კვირას მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ და საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებულ მძლეოსნურ სკოლებს შორის გამართული მატჩის წინ ბევრმა სპორტსმენმა გამოთქვა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობის სურვილი. მატჩის ორგანიზატორები უთუოდ კარგად მოიქცნენ, როცა ყველას მისცეს ძალების მოსინჯვის საშუალება.

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნური სკოლა (დირექტორი რ. ტრაპაიძე) უკვე კარგა ხანია არსებობს, მაგრამ ხელმძღვანელებმა ახლა პირველად გადაწყვიტეს უშუალოდ შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჩვენი რესპუბლიკის ყველა ძლიერი მძლეოსანი ამ სკოლებშია გაერთიანებული და ამიტომ ეს მატჩი ფაქტიურად საქართველოს პირველობას წარმოადგენდა, მაგრამ ამჯერად მან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია: შეჯიბრებაში

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: 400-მეტრიანი დისტანციის ფინიში.

ლახტის წრეში

ეს არის ბავშვთა წყალბურთი?

გაგიგონიათ, რომ წყალბურთელთა მატჩები ოდესმე დამთავრებულიყოს ასეთი ანგარიშით — 36:3, 38:1, 38:4 და მეტიც—53:1? მართლაც უცნაურია. სწორედ ამიტომ დავინტერესდით და ჩვენს ვეტერან წყალბურთელებს გავესაუბრეთ. ამ ხალხმა, რომლის თვალწინაც შეიქმნა და ჩამოყალიბდა ქართული წყალბურთის ტრადიციები, მხოლოდ ერთი შემთხვევა გაიხსენა: ომის შემდგომ წლებში რომელიღაც არაოფიციალური მატჩი მართლაც დამთავრებულა უჩვეულო ანგარიშით. მაგრამ 53:1? ეს მართლაც თავისებური რეკორდია, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. უცნაური ანგარიშით რომელიმე უმნიშვნელო შეხვედრა რომ დამთავრებულიყო, ეს ფაქტი ალბათ მკითხველის სამსჯავროზე გამოსატანი არც გახდებოდა. მაგრამ, როცა საქმე ეხება ოფიციალურ მატჩს, როცა მართლაც საკვირველი ანგარიშით მთავრდება არა ერთი და ორი თამაში, არამედ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა, უფლება გვაქვს გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, მით უმეტეს, რომ საქმე მოზარდთა წყალბურთს, დიდი სპორტის ხვალინდელ რეზერვს ეხება.

ამბავი, რომელზედაც აქ მოგითხრობთ, მოხდა წყალბურთში ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე. წაგებისა და მოგების თავისებური რეკორდი კი პირველობის ჩემპიონის — თბილისის განათლების სამმართველოსა და აუტსაიდერის — ქუთაისის „განთიადის“ წყალბურთელთა შეხვედრაში დამყარდა. წყალბურთის ნიუანსებში ჩახედული მკითხველი უთუოდ გაიოცებს: კი მაგრამ, განა ქუთაისელთა გუნდი იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ „ცალ კარში“ იყო თამაშიო? სამწუხაროდ, ასე იყო და ძნელი დასაჯერებელია ზოგიერთის მოსაზრება, რომ „განთიადმა“ ეს მატჩი დათმო. მაგრამ ქუთაისის „განთიადის“ ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდი გამონაკლისი რომ არ ყოფილა? მიღებული და გატანილი ბურთების უცნაური ბალანსი აქვთ რუსთავის „ფოლადს“, სოხუმის „დინამოს“, თბილისის „განთიადს“ ანუ ფაქტობრივად პირველობის ყველა მონაწილეს, გარდა საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებისა.

ერთი სიტყვით, თბილისში ამ შეჯიბრებაზე თავმოყრილი გუნდები შეიძლება თამამად გავყოთ ორ ჯგუფად, სადაც ერთ ჯგუფში მოხვდება თბილისის „დინამოს“ I და II გუნდი (ისინი შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ) და პირველობაში გამარჯვებული დედაქალაქის განათლების სამმართველოს ერთი კოლექტივი. მეორე ჯგუფში კი გადაინაცვლებს ასპარეზობის მონაწილე ხუთი გუნდი, რომლებსაც, თუ თითო-ოროლა წყალბურთელს არ მივიღებთ მხედველობაში, ხეირიანად ცურვაც არ შეუძლიათ, ბურთით ცურვასა და თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ალბათ აქ ერთხელ კიდევ უნდა შევახსენოთ მკითხველს ის ჭეშმარიტება, რომ სპორტის ვერც ერთი სახეობა წინ ვერ წავა სრულფასოვანი რეზერვის, ესე იგი ბავშვებთან გულმოდგინე, თავდადებული მუშაობის გარეშე. სად, თუ არა ჭაბუკთა რესპუბლიკურ ასპარეზზე უნდა გამოვლინდნენ ის პერსპექტიული წყალბურთელები, რომლებიც თაობათა ცვლის პროცესში უფროს მეგობრებს შეცვლიან ჩვენს მთავარ გუნდში — თბილისის „დინამოში“? დასანანია, რომ ჭაბუკთა წლევანდელმა რესპუბლიკურმა პირველობამ ასე ულიმღამოდ ჩაიარა და გუნდების მომზადების დონე დიამეტრიულად საწინააღმდეგო გამოდგა. ისმის კითხვა, რა ფასი აქვს შეჯიბრებაში ასე უსუსური გუნდების მონაწილეობას? რისთვის ვხარჯავთ დიდძალ სახსრებს, თუ წინდაწინ ვიცით, რომ გუნდს მეტოქის კართან ბურთის მიტანაც არ შეუძლია? მხოლოდ იმისთვის, რომ ასპარეზობაში გამოსვლა ჩაგვეთვალოს? ამავე პრინციპით ტყიბულს, ჭიათურას, თერჯოლას, სხვა ქალაქებსა და რაიონებსაც შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ შეჯიბრებაში, თუკი საამისოდ მარტო ის კმარა, რომ საცურაო აუზი გქონდეს, თანაც, მატჩების ასეთი ანგარიშით წაგებას ნებისმიერი ქალაქისა და რაიონის გუნდი მოახერხებდა. იქნებ აჯობებდა ქუთაისს, მაგალითად, ნაცვლად ორისა, ერთი ხეირიანი გუნდი გამოეყვანა?

მაგრამ ამ ასპარეზობამ მარტო თამაშის დაბალი დონით გამოწვეული პესიმიზმი როდი დაუტოვა მაყურებელს. ხშირად იქმნებოდა სპორტული შეჯიბრებისათვის შეუფერებელი სიტუაციები, ზოგიერთ გუნდში საგანგაშო დონეზე დგას დისციპლინა, რაშიც, სამწუხაროდ, უწინარეს ყოვლისა, მწვრთნელებს მიუძღვით ბრალი. თუმცა აქ უმჯობესია სპეციალისტებს მოვუსმინოთ:

დავით იაშვილი — შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი: მოზარდ წყალბურთელთა გუნდებში საერთოდ არ არის წესრიგი, მოთამაშეთა უმრავლესობა თავხედურად იქცევა. ასე იყო ამ პირველობაზეც. პირდაპირ ვიტყვი: სპორტსმენებს და მშობლებს მწვრთნელებიც აქეზებდნენ, მეტიც, ისინი თავადაც უტიფრად იქცეოდნენ.

ზურაბ ჩაჩავა — ასპარეზობის მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი: მე არ შემიძლია ასე ერთბაშად ამომწურავი პასუხი გავცე კითხვას, თუ რამ გამოიწვია ჩვენში წყალბურთის ასეთი დაქვეითება. ერთი კი აშკარაა: ასე სუსტად მოზარდები წყალბურთს 30 წლის წინათაც არ თამაშობდნენ. მე მგონია, რომ წყალბურთში თამაშის წაგება ანგარიშით 1:53 შეუძლებელია, თუ გუნდები მართლა თამაშობენ, მაგრამ აქ თამაში არ იყო. იმისათვის, რომ მშობელთა თვითნებობას აღკვეთის და წესრიგის დამყარების, ვფიქრობ, მსაჯს უფლება უნდა ჰქონდეს ტრიბუნებიდან გააძევოს ასეთი მშობელი.

მოდით, კომპეტენტური დასკვნების გამოტანა ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებს მივანდოთ, ჩვენ კი ისევ ზემოხსენებულ პირველობას დავუბრუნდეთ. ასპარეზობის შემდეგ ყველა სპეციალისტი ერთსა და იმავე კითხვას სვამდა: როგორ მოხდა, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე საასპარეზოდ დაუშვეს სრულიად მოუმზადებელი გუნდები? ჩვენი აზრით, ასეთი ლაფსუსი არ მოხდებოდა, შეჯიბრების დებულება რეალურ ვითარებათა გათვალისწინებით რომ შეედგინათ. განა არ ვიცოდით, რომ ამ პირველობაში (გამონაკლისია თბილისის სამი გუნდი) მონაწილენი ერთმანეთს ღირსეულ მეტოქეობას ვერ გაუწევდნენ? თუ არ ვიცოდით, მით უარესი. ზურაბ ჩაჩავამ ჩვენთან საუბარში კიდევ ერთი საქმიანი წინადადება წამოაყენა: საჭიროა შეიქმნას მეთოდისტების ჯგუფი, რომელიც სპორტულ ორგანიზაციებს გააცნობს თავის მოსაზრებებს, რომელმა გუნდმა რა რანგის შეჯიბრებაში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა.

დაბოლოს, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევეხოთ მწვრთნელთა უტაქტობისა და თავაშვებულობის მიმართ რეაგირების საკითხს. რედაქციაში რამდენიმე დღე ველოდით მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებას, სადაც როგორც გვითხრეს, ეს საკითხი განუხილავთ. მაგრამ დათქმული ვადები ამოიწურა, იმ დანაპირებმა ოქმმა კი ვერა და ვერ მოაღწია რედაქციამდე.

თითქოს ოთხი წლით გაგვაახალგაზრდავა

დასასრული

ერთმანეთს ძირითადად სრულიად ახალგაზრდა და გამოცდილი სპორტსმენები დაუპირისპირდნენ. საქმე იმაშია, რომ პროფსაბჭოს სკოლა თავისი სპეციფიკით ისეთია, რომ ყველა ასაკის მძლეოსანს აერთიანებს, ე. ი. ბავშვებიდან მოზრდილებამდე. სკოლის ხელმძღვანელებს მუშაობაში აქცენტი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ახალგაზრდულ თამაშებში და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობაზე აქვთ გადატანილი, ამიტომ სკოლაში მხოლოდ იმ მოზრდილ სპორტსმენებს იტოვებენ, რომელთაც, მათი აზრით, საკავშირო სპარტაკიადაზე გარკვეული წარმატების მოპოვება შეუძლიათ.

უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა, როგორც სახელწოდება მიგვითითებს, მხოლოდ მოზარდ და მოზრდილ მძლეოსნებს აერთიანებს. ამ სკოლის მიზანიც ახალგაზრდულ თამაშებზე და საკავშირო სპარტაკიადაზე კარგი გამოსვლა გახლავთ, მაგრამ სკოლაში ისინიც ირიცხებიან, რომლებმაც ასაკის თუ არასაკმარისი ოსტატობის გამო ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში შესაძლოა, ვერც კი მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ გვჭირდებიან საკავშირო კროსებში, მატჩებში და სხვა იმ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდის დასაკომპლექტებლად, რომელთა გარეშე ჩვენში „მძლეოსნური ცხოვრება“ ჩაკვდება.

ამის გამო ძნელია ორივე სკოლის მიმართ ერთი საზომი მოვიმარჯვო: აქო გამარჯვებული, ხოლო დამარცხებული გაკიცხო. მთავარი ის არის, რომ ორივე გუნდის ხელმძღვანელებს და მწვრთნელებს საშუალება მიეცათ შეემოწმებინათ საკუთარი რეზერვი და შეემჩნიათ მუშაობაში არსებული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ მატჩში არ მონაწილეობდა სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაზე მყოფი საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრი და თბილისში არ ჩამოვიდნენ ამ შეჯიბრებაზე მოწვეული აზერბაიჯანის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მძლეოსნები, ბევრ დისციპლინაში სპორტსმენებმა მეტად დაძაბული და საინტერესო ბრძოლა გააჩაღეს. მათ მოზრდილთა სამი და მოზარდთა ერთი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს (დახურული დარბაზისათვის). პირველი სამი მიღწევა რესპუბლიკური სკოლის გუნდის წევრებზე მოდის. ხ. გუჩმაზოვამ (400 მ), ლ. შაპოვალოვამ (1500 მ) დიდი უპირატესობით აჯობეს მეტოქეებს. მათ გარდა თავი გამოიჩინა ოდესიდან თბილისში საცხოვრებლად ახლახან გადმოსულმა ცნობილი ნ. აბაშიძის უმცროსმა დამ ალექსანდრამ, რომელმაც 6! სანტიმეტრით გააუმჯობესა ლ. ტუღუშის მიერ 1971 წელს ღია სტადიონზე დამყარებული რეკორდი. 1500-მეტრიან დისტანციაზე პროფსაბჭოს სკოლის მოსწავლემ ზ. ზილბერშტეინმა ზედ ფინიშთან გამარჯვება ხელიდან გამოსტაცა სპორტის ოსტატს ი. ციგულიოვს. მისი შედეგი — 3.56,5 საქართველოს იუნიორთა ახალი რეკორდია.

და მაინც, მაყურებლებმა უფრო მეტი ინტერესი სამხტომელთა პაექრობის მიმართ გამოიჩინეს. აქ სხვებთან ერთად ასპარეზობდა ვ. სანეევი... დიახ, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი. მისმა გამოსვლამ ჩვენ, შეჯიბრების მაყურებლები თითქოს 4 წლით გაგვაახალგაზრდავა. ვ. სანეევმა ზუსტად ის შედეგი აჩვენა, როგორიც გამარჯვებულს ჰქონდა, არცაა გასაკვირი, ახლა ხომ იგი იშვიათად, უფრო ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ვარჯიშობს, თანაც პაექრობისას მოკლე გამორბენით ხტებოდა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გადაწყდა, რომ წლეულს ასეთივე მატჩი ღია ცის ქვეშაც გაიმართოს.

გიგი ზურაბაული.

• • •

სურათზე: ა. აბაშიძე მორიგი ცდის წინ.

ე. ხუცურაულის ფოტო.

იმედის ნაპერწკალი

ორიენტირი – მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

როდესაც რომელიმე ნაკრები საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის ემზადება, მწვრთნელები ასპარეზობამდე კარგა ხნით ადრე იჭერენ ფადარიგს იმისათვის, რომ გუნდის ყველა შესაძლო კანდიდატი მათი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს. ბუნებრივია, ასე იქცევიან ჩვენი ნორჩ მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელებიც. მათ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამდე თითქმის ერთი წლით ადრე, პირველ საწვრთნელ შეკრებაზევე ბევრ სპორტსმენს მოუყარეს თავი. მათგან, შეჯიბრებებში და ვარჯიშში შემოწმების შემდეგ, უნდა შერჩეულიყო ის 60 მძლეოსანი, რომლებსაც სექტემბერში ტაშკენტში ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვას მიანდობდნენ. მძლეოსნობა სპორტის „ძნელი“ სახეობაა, წარმატება მხოლოდ ხანგრძლივ შრომას მოაქვს, ამიტომ მწვრთნელებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენში არსებული ვითარების გამო, ამ, შედარებით მოკლე, პერიოდში თითქმის შეუძლებელი იყო ძლიერი, დაახლოებით თანაბარი ძალის მძლეოსნებით გუნდის დაკომპლექტება. ახლა, როდესაც სპარტაკიადისათვის მზადების „ეკვატორს“ მივუახლოვდით, ნათლად გამოჩნდა, რომ იმედად მხოლოდ 20-25 მძლეოსანიღა დაგვრჩა. ნადირევად ხელის ჩაქნევა რას მოგვიტანს, ამიტომ ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ არც იმ სპორტსმენებს, რომლებიც საქართველოს ნაკრებში კი ირიცხებიან, მაგრამ მათი შესაძლებლობები ეჭვს იწვევს. მართალია, შემოდგომამდე ნახევარი წელიღა დარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცის გაკეთება. ჩვენს მწვრთნელებს ალბათ არ ეპატიებათ, რომ იმ შედარებით ძლიერმა მძლეოსნებმა, რომლებზედაც ზემოთ მოგახსენეთ, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ბოლომდე ვერ გამოამჟღავნონ თავიანთი შესაძლებლობა (რა თქმა უნდა, ნორჩი სპორტსმენების ორგანიზმისათვის საზიანო სპორტული ფორმის არასწორი ფორსირების გარეშე). ე. ი. საჭიროა გონივრულად წარიმართოს სამზადისი. რაკი მძლეოსანთა საპასუხისმგებლო სტარტებისათვის მზადება რამდენიმე ეტაპს მოიცავს, ამიტომ თითოეული ეტაპის შემაჯამებელი შეჯიბრება მწვრთნელთა ამ პერიოდში გაწეული მუშაობის სარკედ უნდა იქცეს.

ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება ორიოდე დღის წინ ჩატარდა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში. საუბარია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლე-მძლეოსანთა მატჩზე. „სპარინგ-პარტნიორებად“ აზერბაიჯანის და სომხეთის გუნდების ამორჩევა კანონზომიერი იყო: ამას წინათ ჩვენმა მოსწავლეებმა კაუნასში გამართულ მატჩში ძალა მოსინჯეს ლიტველ, ლატვიელ, ესტონელ, მოლდაველ და ბელორუს თანატოლებთან. აზერბაიჯანის და სომხეთის მძლეოსნებიც ჩვენს უშუალო მეტოქეებად ითვლებიან, ამიტომ მათი წინასწარი გაცნობა სასურველი იყო. ამ თვალსაზრისით კარგი იქნებოდა ასეთივე მატჩი შუა აზიის რესპუბლიკების გუნდებთანაც მოგვეწყო.

მძლეოსნობის სასახლეში გამართულ ასპარეზობაზე ჩვენმა ნაკრებმა საკმაოდ იოლად აჯობა მეტოქეებს. ეს სასიხარულო ფაქტია, მაგრამ ამ მატჩის მოგება ჩვენთვის თვითმიზანს არ წარმოადგენდა. შეჯიბრებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა შეეჯამებინა მწვრთნელთა და სპორტსმენთა ზამთრის პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები. ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე-მძლეოსანთა მორიგი ასპარეზობა ხომ ღია ცის ქვეშ გაიმართება. სამწუხაროდ, ისინი გაზაფხულს ბევრი გადაუჭრელი პრობლემით შეეგებებიან. დამაფიქრებელია ჩვენი გოგონების არასახარბიელო შედეგი. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ სასპარტაკიადო პაექრობის მთელ სიმძიმეს ჭაბუკები იტვირთავენ. აზერბაიჯანელ და სომეხ თანატოლებთან მატჩში ტრადიციულად მხოლოდ ორმა გოგონამ აჩვენა კარგი შედეგი: გლდანის რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ მ. აფციაურმა (მწვრთნელი გ. გოზალიშვილი) დამაჯერებლად გაიმარჯვა 60 და 200 მეტრზე რბენაში, ხოლო რუსთაველმა ე. მარკუშინამ (მწვრთნელი ი. ფილდოროვი) — 60 მეტრზე თარჯრბენში. ორივე მძლეოსანი საკმაოდ ნიჭიერია და ალბათ ტაშკენტშიც გვასახელებენ.

სიგრძეზე ხტომაში მ. მუხაძემ გაიმარჯვა.

სასიხარულოა, რომ ზოგიერთ დისციპლინაში ჩვენმა ჭაბუკებმა გააუმჯობესეს შედეგები და ახლა თითქმის ყველა სახეობაში, საშუალო და გრძელ მანძილზე რბენის გარდა, თითო საიმედო მძლეოსანი მაინც გვყავს. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მატჩზე, 60 მეტრზე თარჯრბენში პირველი და მეორე ადგილი ჩვენი გუნდის წევრებმა ე. პერშინმა და ი. ივანოვმა დაიკავეს. თანაც ორივემ კარგი შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ეს წარმატება ივანოვმა სიმაღლეზე ხტომაშიც გაიმეორა. სიგრძეზე ხტომაში სტაბილურად აუმჯობესებენ მაჩვენებლებს გ. გლაზოვი და გ. რეხვიაშვილი. ვერც გ. უშიკაშვილის ბირთვის კვრაში ნაჩვენებ შედეგს დავემდურებით. სიმაღლეზე მხტომელი დ. გასიტაშვილი თანატოლებს ჩვეულებისამებრ სჯობნის. გ. დაკაურიძემ, რომელიც მატჩში კონკურსგარეშე ასპარეზობდა (იგი სპორტული სკოლა-ინტერნატების საკავშირო პირველობისათვის ემზადება), სამხტომში პირადი რეკორდი გააუმჯობესა — 15,07 მ. პერსპექტიული სპორტსმენია ჯ. ბაიაძე (სპორტული სიარული). მართალია, ამჯერად სპრინტერების გ. გელაშვილის და მ. გაფრინდაშვილის შედეგი შედარებით მოკრძალებული იყო, მაგრამ ეს ალბათ უფრო შემთხვევას შეიძლება მივაწეროთ. ჩვენი მოსწავლეთა ნაკრები შესაძლოა გააძლიერონ მძლეოსნობის იმ სახეობებში მოასპარეზეებმა, მხოლოდ ღია ცის ქვეშ რომ ტარდება. ე. ი. შუბის, ბადროს და უროს მტყორცნელებმა. ამას საგაზაფხულო სტარტები გვიჩვენებს.

საშუალო და გრძელ მანძილზე რბენა ბავშვებს თავდაპირველად მოსაწყენად და უხალისოდ ეჩვენებათ, ამიტომ ამ სახეობის სპეციალისტებს მწვრთნელის ნიჭთან ერთად პედაგოგიური ალღოც სჭირდებათ იმისათვის, რომ ნორჩებს მცდარი წარმოდგენა გაუქარწყლონ. ჩვენს რესპუბლიკაში ამ თვისებებით დაჯილდოებული მწვრთნელები თითებზე ჩამოსათვლელნი არიან, ამიტომაც ზემოხსენებულ დისციპლინებში წინსვლა არ იგრძნობა.

...სასიხარულოა ის ფაქტი, რომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა შეჯიბრების მიმართ ყურადღება გამოიჩინა და ყველაზე პერსპექტიული სპორტსმენებისათვის საგანგებო პრიზები დააწესა, რაც რესპუბლიკაში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებებზე იშვიათად ხდება.

გიორგი ჩოჩიშვილი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები:

პრობლემები, სიძნელეები, ამოცანები...



მკითხველთა წერილების მიმოხილვა მრავალ ცენტრალურ ზეთში გამოქვეყნდა, ბევრი წე- ლი მივიღეთ „ლელოშიც" და ახ- , როცა მორიგი საფეხბურთო სე- ონი კარს მოგვადგა, როცა რ კავშირის ნაკრებს 1986 ის მსოფლიო ჩემპიონატის არჩევი მატჩებისთვის უხდება დება, ვფიქრობთ, ინტერესმოკ- ებული არ იქნება გავეცნოთ მათ საზრებებს, მათს შეხედულებებს.

თბილისელი ინჟინერი ვ. კერატი- ვილი გვწერს: „ინგლისის „ასტონ ლასთან" უეფა-ს თასზე ჩატარე- ლი უმძიმესი მატჩების შემდეგ სკოვის სპარტაკელები უაღრე- დ გადაქანცული იყვნენ, ამიტომ ვიანთ შესაძლებლობაზე გაცილე- ით სუსტად, ძალზე სუსტად ჩაატარეს ტად პრინციპული მატჩი დნეპრო- ტროვსკის „დნეპრთან". ეს მათ ჩე- მიონთა ოქროს მედლების ფასად უჯდათ. ამის შემდეგ, უკვე ნაკრე- ში, სპარტაკელი ფეხბურთელები ვრილოვი, ჩერენკოვი, როდიონო- , დასაევი პორტუგალიელებთან ტჩის წინ ვ. ლობანოვსკიმ ლისა- ნში თურმე ისეთი ინტენსიური ტვირთვით ავარჯიშა, რომ ძალე- ს აღდგენის ნაცვლად მათ უკანას- ნელი არაქათიც გამოაცალა. ამ ფე- ბურთელებს დასვენება ესაჭირო- ოდათ, ისინი კი უმოწყალოდ არ- ენინეს მეტჩისწინა ვარჯიშზე. ნუ- უ ნაკრების მწვრთნელმა არ იცის, ოდის ავარჯიშოს და როდის დაა- ვენოს მოთამაშე? ან ექიმი სად იყო მ დროს?" ძნელია არ დაეთანხმო კერატიშვილს.

ვალენტინა გუზენკო (თბი- ისი) გვწერს: „ბევრი ფი- რობს, რომ ქალები რი- თანაც ვერ ვერკვევით ფეხბურთ- ში. შეიძლება ასეცაა, მაგრამ ის კარგად ვიცით, რომ კ. ბეს- ოვმაც და ვ. ლობანოვსკიმაც ზუ- ტად ერთი და იგივე, ელემენტა- რული შეცდომა დაუშვეს: ყველა- ზე მნიშვნელოვანი, ყველაზე გადა- წყვეტი მატჩები ისეთი პასიური, დაცვითი სისტემით დაგეგმეს, ჩვე- ნი მეტოქეები უკეთესს ვერაფერს ნატრებდნენ. მათ ყოველმხრივ ეხსნათ ხელ-ფეხი, ამიტომ ორი- ვე მატჩი ჩვენთვის საბედისწეროდ დამთავრდა. საინტერესოა, მომა- ვალშიც რომ მოხდეს ასეთი შემ- თხვევა, ისევ ისე ქალაჩუნებივით თამაშებთ?"

მეტად საყურადღებო წერილი ამოგვიგზავნა თბილისის სახელმ- წიფო უნივერსიტეტის ქიმიური ინეტიკის კათედრის დოცენტმა ორის მუსერიძემ:

როგორია ჩვენი ქვეყნის ნაკ- რებ გუნდში ვ. ლობანოვს- ის მოღვაწეობის შედეგი? ეჭვი რავის. შეიძლება შევადაროს — რთობ" ხავლალო. ვ. ლობანოვს- ის ხელში სსრ კავშირის ნაკრები ვერ მოხვდა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. კიევის დი- ნამოელებთან თავისი მუშაობის მეთოდები ვ. ლობანოვსკიმ მექანიკურად გადმოიტანა ნაკრებში, იქაც დააკანონა სქემატურობა, გადაპარბებული სიფრთხილე, ზედმეტი რაციონალიზმი, რაღაც გაუგებარი გასვლითი მოდელები. ფეხბურთელებს მან დაუკარგა შემოქმედებითი თამაშის, იმპროვიზაციის უნარი, გამოფიტა ისინი. რა აზრი ჰქონდა ვ. ლობანოვსკის ხელახალ დანიშვნას უფროსი მწვრთნელის პოსტზე, თუკი ის თავის მეთოდებს არავითარ შემთხვევაში არ შეცვლიდა და ნაკრებსაც წარუმატებლობათა გზით ატარებდა?

ვ. ლობანოვსკიმ ნაკრების სამოქმედო გეგმას საფუძვლად დაუდვა შეტევა არა ნამდვილი თავდამსხმელებით, არამედ რაღაც ნახევართავდამსხმელებით, განაპირა მცველებით. მთავარ მოიერიშე ძალად მან აქცია მცველი დემიანენკო და არა თავდამსხმელები ბლოხინი და შენგელია. ეს ხომ აშკარა შეცდომაა! აბა, წარმოიდგინეთ, რას მიაღწევდნენ ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიელები, მთავარ შემტევად ტარდელი რომ ჰყოლოდათ და არა როსი! ნამდვილ შეტევას ნამდვილი ფორვარდი სჭირდება და არა ნახევარ-და მეოთხედთავდამსხმელები.

ვ. ლობანოვსკის აზრით, ფეხბურთელებმა უპირველეს ყოვლისა უნდა იმუშაონ, ჩვენ კი, მაყურებლებს, გვიყვარს და მოგვწონს, როცა ფეხბურთელი თამაშობს. ყველა სხვა დადებითი მხარეები და ღირსებები — ფიზიკური მომზადება და ფუნქციური მზადყოფნა საჭიროა იმისთვის, რომ ფეხბურთელმა ითამაშოს, მაყურებლებსაც სიამოვნება მოჰგვაროს და გუნდსაც შემწეობა გაუწიოს. განა პელე და ბეკენბაუერი მუშაობდნენ? ისინი თამაშობდნენ, ქმნიდნენ ფეხბურთს მწვანე მინდორზე. მუშაობს მხოლოდ ის, ვისაც საკუთარი ალმაფრენა არა აქვს და მთლიანად მწვრთნელის კარნახსაა დამორჩილებული.

მოვიყვან ციტატას ვ. ლობანოვსკის ერთ-ერთი სტატიიდან: „სამწუხაროდ, არიან ფეხბურთელები, რომლებიც ჩინებულად აკეთებენ ერთ რამეს... მაგრამ როცა მათ არა აქვთ შესაძლებლობა შეასრულონ ის „ერთი რამ", ისინი მძიმე ტვირთად აწვებიან პარტნიორებს და მკვეთრად აქვეითებენ კოლექტივის შესაძლებლობებს, თუმცა თავიანთი „საფირმო ნომრებით" მაყურებელთა ტაშსაც იმსახურებენ".

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ასეთი ფეხბურთელები არ შეიძლება მძიმე ტვირთად იქცნენ გუნდისთვის. ისინი ფეხბურთის მშვენებაა, მათს სანახავად დადიან სტადიონებზე მაყურებლები. ტვირთად ისინი მაშინ იქცევიან, როცა მწვრთნელს წინასწარ შექმნილი ტენდენციური დამოკიდებულება უჩნდება მათს მიმართ და არ უყვარს იმპროვიზაცია. ჭკვიან, შემოქმედ მწვრთნელსაც და პარტნიორებსაც მუდამ სჭირდებათ იმპროვიზატორები. როცა „მუშა" მოთამაშე უძლურია, იქ სწორედ ასეთი ფეხბურთელები იგებენ თამაშს.

არ შემიძლია არ მოვიყვანო სახელმოხვეჭილი ჰოლანდიელი ფეხბურთელის ი. კრუიფის სიტყვები: „მწვრთნელი, დიდი მცოდნეც რომ იყოს, თამაშის დროს მინდვრის იქით არის, სკამზე. ის თამაშს გარედან უყურებს, მოთამაშე კი — შიგნიდან. მწვრთნელს არ შეუძლია იმ სიგრძე-სიგანით განიცადოს ყველაფერი, რაც გარკვეულ მომენტში ხდება მინდორზე. მოაზროვნე, ავტორიტეტულ ფეხბურთელს უფლება აქვს მწვრთნელის კარნახის გარეშეც შეიტანოს გარკვეული კორექტივები თამაშის ტაქტიკაში".

ასეთ მოაზროვნე ფეხბურთელებს, მე დავრწმუნდი, ვ. ლობანოვსკი საერთოდ არ სცნობს. ფეხბურთი შემოქმედებითი თამაშია როგორც მწვრთნელის, ისე, და, უფრო მეტადაც, ფეხბურთელისთვის. ვისაც ეს ავიწყდება, ის ვნებს ფეხბურთს".

მ. მუსერიძის მოსაზრებას ეხმაურება ლენინგრადელი ექიმი-ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. პშიზოვი. მან ვრცელი წერილი გამოგვიგზავნა, რომლიდანაც მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს:

„ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა ფეხბურთში უდავო ჰეგემონია ეპყრა კიევის „დინამოს", რომელსაც გარკვეულ წლებში სხვადასხვა გუნდები ებრძოდნენ (მოსკოვის „ტორპედო", მოსკოვის „სპარტაკი", ერევნის „არარატი"). მაგრამ კიეველთა უმთავრესი მეტოქე მაშინ მაინც თბილისის „დინამო" იყო. კიეველებს დიდი ხნის მანძილზე სტაბილურად მოთამაშე, თანაბარი ძალის ფეხბურთელთა კოლექტივი ჰყავდათ, გუნდს კარგად დაგეგმილი სამოქმედო სქემა ჰქონდა. კიეველთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შეიძლებოდა მხოლოდ მრავალფეროვანი, განსხვავებული ტაქტიკითა და სწრაფი იმპროვიზაციებით. კიევის „დინამოს" თამაში დამყარებული იყო ერთგვარ შაბლონურ, მაშინალურ თამაშზე, ეს თამაში გუნდმა კარგად შეისწავლა „შინაური" და „გასვლითი" მოდელების მაგალითზე, მაგრამ კიეველებს ძალიან უჭირდათ ბრძოლა ე. სტრელცოვის, ს. მეტრეველის, მ. მესხის, ვ. ვორონინის, დ. ყიფიანის, ვ. გუცაევისა და სხვა მათი კლასის ფეხბურთელებთან. კიეველებს ძლიერი კოლექტივი ჰყავდათ, მაგრამ ნამდვილი „ვარსკვლავი", ამ სიტყვის კარგი გაგებით, მათს რიგებში მხოლოდ ო. ბლოხინი იყო.

მახსოვს, ერთ დროს ერთმანეთს ადარებდნენ კიეველ ა. ბიშოვეცსა და მოსკოველ ე. სტრელცოვს. 1967 წელს პარიზში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის, ე. სტრელცოვმა შავი დღე დაათენა ფრანგების დაცვას და როცა ერთ-ერთმა ჩვენმა ჟურნალისტმა სცადა საფრანგეთის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელთან ჟ. ფონტენთან საუბარში სტრელცოვისა და ბიშოვეცის შედარება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წარემართა, ფრანგების მწვრთნელმა რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ სწორედ სტრელცოვის თამაში მოსწონს. ბოლოს ინტერვიუ მან ასეთი ფრაზით შეწყვიტა: „თუ არ მოგწონთ სტრელცოვი, დამითმეთ იგი მე".

ეს უბრალო მაგალითიც ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელები და, კერძოდ, ვ. ლობანოვსკი მეორე პლანზე აყენებენ ვირტუოზ ფეხბურთელთა ოსტატობას, ისინი მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი თამაშით აპირებენ ფონს გასვლას, ჩვენ კი ღრმად გვწამს, რომ უმაღლესი კლასის მოთამაშე — ეს ფეხბურთის სილამაზეა, გამარჯვებას სწორედ ის სჭედს და საერთაშორისო ფეხბურთის მწვერვალებიც სწორედ ვირტუოზებს ეფუძნება".

ბევრი ჩვენი მკითხველი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფეხბურთში ამჟამად ახალ მოთამაშეებთან ერთად ახალი მწვრთნელებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ახლებურად, პროგრესული თვალსაზრისით უყურებენ სადღეისო პრობლემებს, ისინი საქმით და არა მარტოოდენ სიტყვით ემსახურებიან თანამედროვე, მოწინავე, ტოტალურ ფეხბურთს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთნაირი საზომით, ერთნაირი მეთოდებით მიუდგე ცალკეული კლუბისა და მთლიანად ნაკრების პრობლემებს. ბევრი ძველი მწვრთნელისგან ხშირად გაგვიგია, რომ ფეხბურთში ბედი უნდა ეძიო არა საკუთარ, არამედ მეტოქის კართან, რომ შეტევა — ეს საუკეთესო დაცვაა, მაგრამ ხშირად როცა საქმე საქმეზე მიდგება, ნაკრებს ისევ და ისევ ვხედავთ საკუთარ ნახევარზე ჩაკეტილს, შებოჭილს, როცა თავდამსხმელები დაცვითს ფუნქციებს ასრულებენ, მოპირდაპირე ნახევარზე კი აქა-იქ თუ გამოჩნდება ის მოთამაშე, რომელსაც ზურგზე აწერია მეოთხე ან მეხუთე ნომერი. ეს მწირი, ლატაკი შეტევაა.

წლეულს იწყება 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების მორიგი ციკლი, სსრ კავშირის ნაკრებს შემოდგომით ორი კალენდარული მატჩი აქვს ირლანდიისა და ნორვეგიის გუნდებთან და ორივე — სტუმრად. ნაკრები ჩვენი ფეხბურთის სარკეა, მისი უპირველესი პრესტიჟი, ნაკრების თამაშს, მის შედეგებს უდიდესი ინტერესით მოველით, გუნდის თითოეული მატჩი ყოველი ჩვენგანისთვის მეტად საგულისხმოა. ისეთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი, ევროპის პირველობა, ოლიმპიური თამაშები და ა. შ. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ჩვენი, საბჭოთა გუნდის რანგის შესაფერის წარმატებებს.

საბჭოთა ფეხბურთი მუდამ უნდა იყოს მოწინავეთა რიგებში, მისი გამარჯვებებით დიდად ვართ დაინტერესებული — ასეთია „ლელოს" რედაქციაში გამოგზავნილი წერილების ავტორთა ერთსულოვანი სურვილი, მათი კანონიერი მოთხოვნა.

როდიონ ქორქია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 43.

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

მკითხველები „უტევენ"... ალფრედო დი სტეფანოს

ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სპორტულმა ჟურნალებმა გამოაქვეყნეს ინტერვიუ ლეგენდარულ ფეხბურთელთან, ცნობილ მწვრთნელ ალფრედო დი სტეფანოსთან. გარდა ამისა, პრაღის „გოლის" რედაქციამ თავის მკითხველებს სთხოვა შეკითხვები მიეცათ მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელისათვის, შემდეგ ეს კითხვები დი სტეფანოს გაუგზავნა და პასუხიც მიიღო. გთავაზობთ ნაწყვეტებს „გოლში", „სტადიონში" და „პილკა ნოჟნაში" დაბეჭდილი მასალებიდან:

● **რა განიჭებთ ფეხბურთში სიამოვნებას?**

— ლამაზი თამაში. გოლები და გამარჯვებები მხოლოდ ასეთი თამაშის დამაგვირგვინებელია.

● **ახალგაზრდობაში რომელი ფეხბურთელი მიგაჩნდათ კერპად?**

— ხუან მანუელ მორენო. ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტის" ამ თავდამსხმელს რომ ვუყურებდი, ვნატრობდი მის მსგავსად მეთამაშა.

● **ახლა რომელ ფეხბურთელს აფასებთ ყველაზე მეტად?**

— მარადონას.

● **კრუიფს?**

— ფენომენალური ფეხბურთელია!

● **ვინ იყო თქვენი ყველაზე კარგი პარტნიორი?**

— მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი სანსისტებანი.

● **მწვრთნელებს მიაჩნიათ, რომ მარადონასთან მუშაობა იოლი არ არის. ამბობენ, რომ არც თქვენ გქონდათ მაინცდამაინც რბილი ხასიათი...**

— შესაძლოა, მაგრამ მე ყოველთვის ვუსმენდი მწვრთნელს და ვასრულებდი მის დავალებას.

● **რა ადგილი უჭირავს ესპანეთს მსოფლიო ფეხბურთში?**

— იქნებ, არც ისე მაღალი, მაგრამ ესპანელი ფეხბურთელები ისე თამაშობენ, გულშემატკივარს რომ მოსწონს. მათ მაღალი ტექნიკა აქვთ, თუმცა ხშირად ისეთი შემართება არ იგრძნობა, როგორიც საჭიროა.

● **როგორ წარმოგიდგენიათ ყველა დროის იდეალური ნაკრები?**

— დაახლოებით ასე წარმომიდგენია: ფილოლი (არგენტინა), ფოგტსი (გფრ), პინი, პასარელა (ორივე — არგენტინა), ნილტონ სანტოსი (ბრაზილია), ნესტორ როსი, მორენო (ორივე — არგენტინა), გარინჩა (ბრაზილია), კრუიფი (ჰოლანდია), პელე (ბრაზილია), ჰენტო (ესპანეთი). მათს გარდა აღვნიშნავ იმ ფეხბურთელებსაც, რომლებსაც დიდ პატივს ვცემდი: კუბალა (ესპანეთი), პიანტონი (საფრანგეთი), რობერტ ჩარლტონი (ინგლისი), პუშკაში (უნგრეთი), ბიკანი (ჩეხოსლოვაკია), მარადონა, სივორი, მასხიო, ლაბრუნა (ყველა — არგენტინა), ჰიდეგკუტი (უნგრეთი), რამალეტსი, ამანსიო, ალონსო, სეგარა, გარაი, დელ სოლი, სუარესი (ესპანეთი).

● **წერდნენ, რომ თქვენ იყავით პირველი უნივერსალური თავდამსხმელი ფეხბურთის ისტორიაში.**

— სწორი იქნებოდა ეთქვათ: ერთ-ერთი პირველი, რომელიც თამაშობდა არა მარტო თავისთვის, არამედ პარტნიორებისთვისაც.

● **თქვენ უკეთესი ფეხბურთელი იყავით თუ პელე?**

— უხერხული კითხვაა. პელეს შესანიშნავად ორგანიზებული რეკლამა ჰქონდა. ეს რეკლამა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე თვით პელეს ხელოვნება. პელე „სანტოსში" თამაშობდა, მე — „რეალში". „სანტოსი" უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან შედგებოდა.



● **გული ხომ არ გწყდებათ იმაზე, რომ პელესთან ერთად არასდროს გითამაშიათ?**

— არა. მინდორზე ჩვენ მეტოქეებად შევხვდით ერთმანეთს, „რეალმა" მაშინ „სანტოსს" ანგარიშით 5:3 სძლია.

● **გამოჩენილი ფეხბურთელი ყოველთვის როდი ხდება გამოჩენილი მწვრთნელი. როგორია თქვენი სამწვრთნელო ბალანსი?**

— მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დავანებე, ორი სეზონის მანძილზე ვავარჯიშებდი „ელჩეს" (ესპანეთის პირველი ლიგა). შემდეგ ერთი სეზონის მანძილზე ვხელმძღვანელობდი არგენტინის „რივერ პლეიტს", რომელშიც ოდესღაც მითამაშია. 1970 წელს ჩავიბარე „ვალენსია", სადაც 4 სეზონი დავყავი, შემდეგ ერთი სეზონი ვწვრთნიდი ლისაბონის „სპორტინგს", მომდევნო ორი წლის მანძილზე კი მადრიდის „რაიო ვალენცანოს", შემდეგ — „კასტელონს". 1978-80 წლებში ისევ „ვალენსიაში" ვიმუშავე, შემდეგ კვლავ „რივერ პლეიტში", ახლა მეორე წელია მადრიდის „რეალს" ვხელმძღვანელობ.

● **რა მიგაჩნიათ თქვენი, როგორც მწვრთნელის, მთავარ წარმატებად?**

— „რივერ პლეიტი" 1970 წელს არგენტინის ჩემპიონი გახდა, „ვალენსია" 1974 წელს — ესპანეთის ჩემპიონი, ეს კლუბი 1979 წელს ესპანეთის თასს დაეუფლა, შემდეგ 1980 წელს, ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო, 1981 წელს „რივერ პლეიტმა" ჩემი ხელმძღვანელობით მეორედ მოიპოვა არგენტინის ჩემპიონობა.

პუბლიკაცია მოამზადა
გივი გამრეკელმა.

დიდი სპორტის კანონებით

დასასრული

მარჯვედ ებმებოდა რთულ ორთაბრძოლებში. კაუნასის პირველ გუნდთან შეხვედრაში მათ პირველი ტაიმი წააგეს 12 ქულით — 38:50, მაგრამ შესვენების შემდეგ სავსებით შეიცვალნენ. ახლა ისინი წარმატებით თამაშობდნენ პრესინგს, გადავიდნენ შეტევაზე და მეტოქე პირდაპირ გაოგნებული დატოვეს. ეს შეხვედრა დამთავრდა 88:82 „მართვეს" სასარგებლოდ. საწინააღმდეგო სიტუაცია შეიქმნა „ნორჩ დინამოელთან" შეხვედრაში. „მართვე" დაწინაურდა და დინამოელებმა მატჩის დასასრულამდე 7 წუთით ადრე მოახერხეს წინ გასვლა. ამ ცხარე წუთებში „მართვემ" მხოლოდ ანგარიშის გათანაბრებაღა შეძლო. დრო ამოიწურა. ტაბლოზე აღინიშნა ფრე — 87:87 (ამგვარი შეჯიბრებისთვის დამატებით დროს არ ნიშნავენ). აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში „ნორჩი დინამოელი" ერთგვარად სტიქიურად, უთანაბროდ თამაშობდა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრების დებიუტანტმა — თელავის გუნდმა. თელაველები პირველად გამოვიდნენ მათთვის უჩვეულო ზომის მოედანზე, მაგრამ გამოცდილი მეტოქეების წინაშე არ შედრკნენ და შეეცადნენ მთლიანად გამოევლინებინათ თავიანთი შესაძლებლობები.

— ჩვენთან ერთხანს სპორტის სათამაშო სახეობები ძალიან ჩამორჩა, — თქვა თელავის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის უფროსმა მწვრთნელმა კალათბურთში ნოდარ იანქოშვილმა. — მაგრამ ჩვენი სკოლის გახსნით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი ხელბურთელი თამაზ ანთაძე, საქმე შესამჩნევად გამოსწორდა. ახლა მოუთმენლად ველით ქალაქის ახალი სპორტული კომპლექსის გახსნას. იქ უკვე მიმდინარეობს დამამთავრებელი სამუშაოები და, ალბათ, საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ შესაძლებლობა გვექნება კეთილმოწყობილ დარბაზში ვივარჯიშოთ. ამ ტურნირში მონაწილეობა ჩვენი აღსაზრდელებისთვის საკავშირო სარბიელზე გასვლის პირველი შესაძლებლობა იყო და დიდი მონდომებითაც ვემზადებოდით. გუნდს არ ჰქონდა ამ რანგის შეჯიბრების გამოცდილება. ასე რომ, ალბათ გასაგებია, რაოდენ საპრესტიჟო იყო ჩვენი ბავშვებისთვის თამაში ისეთ გუნდებთან, როგორიც არიან „მართვე", „ნორჩი დინამოელი", კაუნასისა და მოსკოვის კოლექტივები. ამ გუნდებთან წაგებით კი ბევრი რამ ვისწავლეთ. ერთადერთმა მოგებამ კაუნასის მეორე გუნდთან საკუთარი შესაძლებლობების რწმენა შესძინა ბავშვებს. ნათლად დავინახეთ ის ხარვეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად თავდადებული მუშაობა მოგვიწევს და მომავალ შეჯიბრებაშიც უფრო მომზადებული გამოვალთ. გუნდის თამაშით ძირითადად კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო ის, რომ ძალზე შესამჩნევი იყო რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ნუგზარ ამირგულაშვილის, დათო მჭედლურის და სხვათა არყოფნა, რომლებიც... მშობლებმა(!) არ გამოუშვეს შეჯიბრებაზე. ისინი კი გაცილებით მეტს შეიძენდნენ აქ, თუნდაც ერთი თამაშით, ვიდრე მთელი თვის ვარჯიშით.

ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია პირველი ორი დღის შეხვედრათა შედეგები. ახლა გთავაზობთ დანარჩენი თამაშების ანგარიშებს: მოსკოვი — თელავი 64:57, ქუთაისი — კაუნასი-2 69:68, „ნორჩი დინამოელი" — „მართვე-2" 87:87, „მართვე-1" — კაუნასი-1 75:73, ქუთაისი — მოსკოვი 66:62, თელავი — კაუნასი-2 56:42, „ნორჩი დინამოელი" — კაუნასი-1 78:77, „მართვე — 1" — „მართვე-2" 98:84.

ტურნირში გაიმარჯვა „მართვე-1". მეორე ადგილზეა „ნორჩი დინამოელი", მესამეზე — „მართვე-2".

გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები, რომლებიც სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს. ესენი არიან: ირაკლი ვაშაკიძე (ქუთაისი), ანდრეი ნაზაროვი (მოსკოვი), დანის გულბანისი (კაუნასი-2), გიტარას გრანჩუკასი (კაუნასი-1), გია ტუხაშვილი (თელავი) და ლევან გეგეშიძე („ნორჩი დინამოელი").

ალა ზენკო.

ბაქოსა და ტალინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ქართველი მუშკეტერები წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ამ სახელოვანი ტრადიციის ფონზე უფრო ნათლად იგრძნობა ჩვენი მოფარიკავეების ერთგვარი უკანდახევა. ვლადიმერ აფციაურის სახით აშკარად გამოკვეთილი ლიდერი კი გვყავს, მაგრამ დანარჩენები ვერა და ვერ გავიდნენ დიდ სარბიელზე. თუმცა, მაღალი კლასის ოსტატები კი არა, საშუალო დონის სპორტსმენებიც მოგვაკლდა, ამიტომაა ბოლო დროს ჩვენი მოფარიკავეები ვერც გუნდურ შეჯიბრებებში, ვერც პირად ტურნირში რომ ვერაფრით გვახარებენ.

მოვიშველიოთ ფაქტები. თებერვლის მეორე ნახევარში ბაქოსა და ტალინში მოფარიკავეთა ორი დიდი შეჯიბრება გაიმართა: ბაქოში — ჭაბუკთა საკავშირო პირადი პირველობა, ტალინში — დაშნით მოფარიკავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს ამჯერადაც ხელი მოეცარათ, თუმცა უმჯობესია ფარიკაობაში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს მორის სახვაძეს მოვუსმინოთ:

— აპრილის მეორე ნახევარში ლენინგრადში გაიმართება ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი, ამიტომ, ბუნებრივია, ბაქო! პირველობაზე უკომპრომისო ბრძოლები გაჩაღდა — ყველას უნდოდა თავი გამოეჩინა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში დაემკვიდრებინა ადგილი. ბაქოში ჩვენ სულ ცამეტი სპორტსმენი ჩავიყვანეთ, მათგან, უწინარეს ყოვლისა, ზაზა მჭედლიძისა და აკაკი მახარაძის იმედი გვქონდა (ორივენი ხმლით ფარიკაობენ). მჭედლიძემ სტარტზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ფინალში ვერ გავიდა და საბოლოოდ მეცხრე ადგილი დაიკავა (შარშან გამართულ ამგვარ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე იყო) და ცხადია, ნაკრების კანდიდატთა შორის ვერ მოხვდა. მახარაძე უფრო ადრე გამოეთიშა ბრძოლას, თუმცა ამ სპორტსმენს სპეციალისტები იმედის თვალით უყურებენ. დანარჩენ სახეობებში ძირითადად მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების კანდიდატები ცდიდნენ ძალებს. სამწუხაროდ მათ მეტოქეებს კონკურენცია ვერ გაუწიეს.

ტალინის ტურნირი წლეულს მეთოთხმეტედ ჩატარდა. ეს არის ახალი სპორტული სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება, რომელიც ტრადიციისამებრ, ძლიერ შემადგენლობას უყრის თავს. აქაც ძირითადად ახალგაზრდები გამოვიყვანეთ, რათა ცნობილ ოსტატებთან მოესინჯათ ძალა, შეეძინათ გამოცდილება. წარმატებაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო. პირად ტურნირში ვერა, მაგრამ გუნდური შეჯიბრების სტარტზე ჩვენმა სპორტსმენებმა მასპინძელთა ნაკრები დაამარცხეს, თუმცა მომდევნო ოთხი შეხვედრა მაინც წააგეს.

ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია

კალათბურთი

გუშინწინ კაუნასში შედგა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ „ჟალგირისსა" და ცსკა-ს შორის. გაიმარჯვეს არმიელებმა — 77:65 (45:30). მოგაგონებთ, რომ ჩატარებული 4 შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარია — 2:2. მეორე ფინალური შეხვედრა გაიმართება 2 მარტს მოსკოვში. არმიელები, თუ იქაც გაიმარჯვეს, ჩემპიონები გახდებიან.

ხელბურთი

ერთდღიანი შესვენების შემდეგ, გუშინწინ, ლენინგრადში განახლდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა" ფრედ 25:25 ითამაშა ლენინგრადის „ნევასთან". შეჯიბრების ლიდერებმა ცსკა-მ და მინსკის არმიელებმა მოიგეს და ლიდერობა შეინარჩუნეს. ცსკა-მ დაამარცხა მოსკოვის „კუნცევო" (23:21), ხოლო მინსკელებმა კაუნასის „გრანიტასი" (29:24). დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: „პოლიოტი" (ჩელიაბინსკი) — ასკ (ლვოვი) 29:18. ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 25:20, „ცელტნიეკსი" (რიგა) — სკიფი (კრასნოდარი) 23:24.

ახლა ცსკა-სა და მინსკის ასკ-ს 37-37 ქულა აქვთ.

ფეხბურთი

გამოვლინდა მომავალი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალის მესამე მონაწილე აფრიკის ზონიდან. ქ. კასაბლანკაში ერთმანეთს შეხვდნენ მაროკოსა და ნიგერიის ნაკრები გუნდები (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0). თამაშის ძირითადმა დრომ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოავლინა — 0:0. დამატებითი პენალტები უკეთ დაარტყეს მაროკოელებმა, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3 და ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს.

საჭადრაკო პრეს-ტაიმი

29 თებერვალს მოსკოვში მუშაობა დაიწყო რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო გაზეთების საჭადრაკო განყოფილებების რედაქტორთა სემინარმა, რომელიც უთუოდ შეუწყობს ხელს საჭადრაკო შეჯიბრებების გაშუქებას, ამ უძველესი ბრძნული თამაშის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას. სემინარში, რომელიც მოაწყო ჟურნალ „64 — შახმატნოე ობოზრენიე"-ს რედაქციამ და საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის კომისიამ, ქვეყნის 64 ქალაქის გამომცემლობათა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირის ჭადრაკის განვითარებაზე, მის წარმატებებსა და პრობლემებზე სიტყვით გამოვიდა საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსი, საერთაშორისო დიდოსტატი ნ. კროგიუსი. წინაა საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის მფრინავ-კოსმონავტ ვ. სევასტიანოვისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ა. კარპოვის პრესკონფერენციები.

სპორტლოტო

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 25 თებერვალს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი მე-8 ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (13 ბარათი) მოგება 3499 მანეთია, ოთხისთვის (1074 ბარათი) — 52, სამისთვის (21887 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (29 ბარათი) მოგება 9623 მანეთია, ოთხისთვის (4514 ბარათი) — 96, სამისთვის (132194 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება — 7 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით.

ოლიმპიადა ახლოვდება!

თავს არხეინად გრძნობენ

ოლიმპიური თამაშების დედაქალაქს, ჩვეულებრივ, თანამედროვეობის ამ უდიდესი სპორტული ასპარეზობის მასპინძელ ქალაქს უწოდებენ ხოლმე. ამჯერად, როგორც ცნობილია, ოლიმპიური თამაშები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლოს-ანჯელესში გაიმართება 28 ივლისიდან 12 აგვისტომდე, მაგრამ მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა, მილიონობით სპორტის მოყვარული დედამიწის სხვადასხვა კუთხეში და მათთან ერთად საერთაშორისო პრესა ეჭვს გამოთქვამენ, რომ ლოს-ანჯელესი შეძლებს ღირსეულად გაართვას თავი მომავალი ოლიმპიადის ჩატარებას. რატომ?

საქმე ისაა, რომ ლოს-ანჯელესს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოროტმოქმედებათა რაოდენობით და ამ მხრივ მან ნიუ-იორკსაც კი გაუსწრო.

გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" აღნიშნავდა, რომ „ლოს-ანჯელესში ჩვეულებრივი ამბავია რევოლვერის სროლა მაშინაც კი, როცა საამისო მიზეზი არ არსებობს". მაგალითად, ამ ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში ვიეტნამის ბინძური ომის ერთი ვეტერანი ისე გამოთვრა, რომ თავი კვლავ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წარმოიდგინა და უმისამართო სროლა ატეხა. ლოს-ანჯელესის პოლიციის წარმომადგენელმა თქვა, რომ ასეთი შემთხვევების რაოდენობა გამუდმებით იზრდება. „ჩვენს სატელევიზიო პროგრამებში ერთთავად მკვლელობასა და ძალადობას ხედავ", — განაცხადა მან. ისიც სათქმელია, რომ ამ ქვეყანაში მარტო სურვილი და ფულია საჭირო ცეცხმსროლელი იარაღის შესაძენად. „სიკვდილით მოვაჭრენი" თავს არხეინად გრძნობენ, ვინაიდან გავლენიანი წრეების მხარდაჭერის იმედი აქვთ.

პრეზიდენტ რეიგანის აზრით, „იარაღი კი არ კლავს ადამიანებს, არამედ ადამიანები ხოცავენ ადამიანებს". აქაოდა, იარაღი არაფერ შუაშია და იარაღით ვაჭრობის აკრძალვას აზრი არა აქვსო. უცნაური ლოგიკაა, არა?

ამასობაში ოლიმპიადა ახლოვდება. პოლიცია კი უძლურია რამე გააწყოს. როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი", ირონიულად წერს, ამ ბოლო დროს გაჩნდა ერთგვარი იმედი. რა იმედია ეს? ქალაქში გავრცელდა ხმები, თითქოს ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილმა მრავალრიცხოვანმა ბანდიტურმა ჯგუფებმა დადეს დროებითი საზავო შეთანხმება, ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე. გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის" აზრით, გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ოლიმპიადის დღეებში მოაწყონ განგსტერებმა ყველაზე სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა".

მოთამაშეები თეთრი სახლიდან

შეიძლება თუ არა სპორტი იქცეს პოლიტიკურ იარაღად? შეიძლება, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება გვიჩვენებს. ნებისმიერი პრეზიდენტობის კანდიდატი საარჩევნო კამპანიის დროს ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სპორტის პოპულარობა. მაგალითად, ჯიმი კარტერის პრეზიდენტად არჩევისას ამომრჩევლებზე ზემოქმედებას ახდენდნენ ჩოგბურთელი არტურ ეში და მოკრივე მუჰამედ ალი. მათ უპირისპირდებოდნენ არანაკლებ ცნობილი სპორტსმენები, უიმბლდონის ჩემპიონატის მრავალგზის ჩემპიონი კრის ევერტი და ფიგურული ციგურაობის დიდოსტატი პეგი ფლემინგი. ისინი საარჩევნო კამპანიის პერიოდში მხარს უჭერდნენ ჯერალდ ფორდს.

ზოგჯერ პრეზიდენტები სპორტს თავიანთი აგრესიული პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერადაც იყენებენ. პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა თავის დროზე ყალბი ფრაზეოლოგიით ულირს პოლიტიკურ თამაშში ჩაითრია ცნობილ სპორტსმენთა ჯგუფი და ამერიკელ კინოვარსკვლავებთან ერთად პროპაგანდისტულ საგასტროლო მოგზაურობაში გაისტუმრა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც იმხანად ამერიკის შეერთებული შტატები ბინძურ ომს ეწეოდა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ოლიმპიური მოძრაობის მომავლის წინასწარმეტყველის როლს იჩემებდა. „ოლიმპიური თამაშები არასოდეს არ უნდა ჩატარდეს მოსკოვში", — განაცხადა მან 1973 წელს. მაგრამ ამ საქმეში ნიქსონსაც კი აჯობა ჯიმი კარტერმა. სწორედ ის იყო სულისჩამდგმელი მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტისა ზბიგნევ ბჟეზინსკისთან ერთად.

კარტერის სანაცვლოდ თეთრ სახლში მოვიდა სხვა მოთამაშე, რეიგანი. იგი თავმომწონედ აცხადებს, ახალგაზრდობაში ამერიკული ფეხბურთის თამაშს გაცილებით მეტ დროს ვუთმობდი, ვიდრე წიგნების კითხვასო.

აი, რას წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „შპიგელი": „რონალდ რეიგანი ამჯობინებს გაიხსენოს თავისი ახალგაზრდობა, როცა ბეისბოლის მატჩებს უკეთებდა კომენტარს". თვით რეიგანი კი ამბობს: „სპორტი ადამიანში დანთქმული სიძულვილის გამოხატულებაა. იგი თავისი არსით ძალიან ჰგავს ომს".

ამას ამბობს კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მეთაური!

ასეთი შეხედულებების მქონე პრეზიდენტმა უნდა გახსნას 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშები.

რედაქტორი ა. გოგელია.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის დირექცია იტყობინება:

1984 წლის საფეხბურთო სეზონის აბონემენტები ორგანიზაციებზე გაიყიდება 2-დან 5 მარტამდე.

5 მარტიდან 8 მარტის ჩათვლით იწარმოებს აბონემენტების თავისუფალი გაყიდვა სტადიონის სალაროებში.

სალაროები იმუშავებენ 10-დან 19 საათამდე (შესვენება 13-დან 14 საათამდე).

დირექცია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05818

ИНДЕКС 66435